# ხელშეკრულება №1
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი
სოფელი სარფი

1 თებერვალი 2016 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს[1]" პუნქტის საფუძველზე ერთის მხრივ სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლა (საიდენტიფიკაციო N 248386820) წარმოდგენილი მისი დირექტორის ირმა მგელაძეის სახით - (შემდგომში „შემსყიდველი"), ხოლო მეორეს მხრივ, შპს "ივიჯი " (საიდენტიფიკაციო კოდი 245439271) წარმოდგენილი მისი დირექტორის ედნარ გელაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი)", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი" თანახმაა მიაწოდოს (30100000), (30200000) ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 124.00 (ასოცდაოთხი ლარი და 00 თეთრი ) ლარს

## 2.საქონელის მიღება – ჩაბარება

2.1. მიმწოდებელმა საქონელი უნდა მიაწოდოს 2016 წლის 30 აპრილამდე.
2.2. საქონლის მიღება–ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.
2.3. საქონლის ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.
2.4. საქონლის ან მისი ნაწილის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამრვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
2.5. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის ხარისხისა და წუნდების მიზეზის მითითებით

## 3. გარანტია

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული სამუშაოს გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
3.2. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები მომსახურების შედეგად მიღებული სამუშაოს პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

## 4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე გადარიცხვით ეროვნულ ვალიუტაში.

4.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მოხდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდგომ 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

## 5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

5.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის საჭიროება, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

5.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობებ
გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
5.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით,
რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ
არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

## 7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა
გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს
წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.
შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება
აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
7.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან
ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს
ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

## 8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას
აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულების
შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

## 9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის
ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ.
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ
შეუძლია მიაწოდოს სრულყოფილად საქონელი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;
9.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი
ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური
კონტროლი და/ან გამოცადოს მისაღები საქონლის ხარისხი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა
აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.
10.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის
აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.
10.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა
დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის შედეგად დაზიანებული საცდელი
ნიმუშების ღირებულების დაფარვა.
10.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან
სხვა ვალდებულებებისაგან.
10.5. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ხელვაჩაურის რესურსცენტრის თანამშრომელი
ნანუკა ბიწაძე.

EL KHELVACHAURI RESOURCE CENTRE LEPL
GEORGIAN PUBLIC SCHOOL

შემსყიდველი

მიმწოდებელი

## 11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 13. გამოყენებული სამართალი

13.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13.2. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

## 14. შეტყობინება

14.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

## 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

## 16. სხვა დებულებანი

16.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, გეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, საიდანაც თითო ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან“ და „მომწოდებელთან“.

## 17. მხარეთა ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯაროს სკოლა<br>მისამართი ხელვაჩურის მუნიციპალიტეტი<br>სოფელი სარფი<br>saidentifikacio kodi: 248386820<br>მიმღები ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი“<br>ბანკის კოდი: LBRTGE22<br>ანგარიშის N GE46LB0121145142411000<br>დირექტორი<br>ირმა მგელაძე: | შპს „ ივიჯი“<br>saidentifikacio kodi: 245439271<br>მიმღები ბანკი: ს. ს “პრიკრედიტ ბანკი“<br>ბათუმის ფილიალი,<br>ბანკის კოდი: MIBGGE22<br>ანგარიშის GE17PC0033600100022868<br>Ddireqtori:<br>ედნარ გელაძე |

„დანართი N1“

| # | საქონლის დასახელება | ერთეულის ფასი | რაოდენობა | საერთო ფასი |
|---|---|---|---|---|
| 1 | კატრიჯის აღდგენა შევსება | 25,00 | 1 | 25,00 |
| | დინამიკი | 53,00 | 1 | 53,00 |
| | კვების ბლოკი 500W | 46,00 | 1 | 46,00 |
| | სულ | | | 124,00 |

შემსყიდველი

მიმწოდებელი